შპს“შენობა-ნაგებობათაკვლევისა და
ექსპერტიზისცენტრი”
LTD “THE CENTER OF BUILDING RESEARCHAND
EXPERTISE”
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tamar Mefis gam. 5ª, Tbilisi, Georgia
ტელ: (032) 2-22-77-04, E-mail: expertisecntr@gmail.com

15.05. 2017 № 07-24

ვამტკიცებ,
დირექტორი:
რევაზ ცხვედაძე

დამკვეთის იდენტიფიკაცია: კახაბერ კახიძე

დასკვნის შედგენის საფუძველი: ხელშეკრულება (15.05. 2017 წელი)

ექსპერტიზის ობიექტი: ქ.თბილისი. საბურთალოს რაიონში, ქუჩა ვასო გოძიაშვილის I შესახვევი № 6-ის (ს/კ 01.10.10.022.028) ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა.

ექსპერტიზისამოცანა: ქ.თბილისი. საბურთალოს რაიონში, ქუჩა ვასო გოძიაშვილის I შესახვევი № 6-ის (ს/კ 01.10.10.022.028) ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის.მშენებლობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

თბილისი

2017 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები- 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები- - - - - - - - - - - - - - 3
3. გამოყენებული ხელსაწყოები- 4
4. კვლევითი ნაწილი- 5
5. დასკვნა- 7

დანართი №1- 8

ინსპექტირების შემსრულებლები

ექსპერტი: *დ.ჯანყარაშვილი*

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირებაზეწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დაგიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულიასამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
2. საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (დანართი 4);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5);
3. СНиП II - 23-81 „Стальныеконструкции“;
4. СНиП II 21 - 75 „приложение 5“.

ქ.თბილისი.ვაკე-საბურთალოს რაიონში, ქუჩა ვასო გოძიაშვილის I შესახვევი № 6-ის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის.მშენებლობის პროექტის კონსტრუქციულინაწილის ექსპერტიზა

ქ.თბილისი. საბურთალოს რაიონში, ქუჩა ვასო გოძიაშვილის I შესახვევი № 6-ის (ს/კ 01.10.10.022.028) ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის.მშენებლობის პროექტი დამუშავებულია შპს **"Mega Personal Architecture"** -ს სპეციალისტების (არქიტექტორი ა.კაჭკაჭიშვილი, კონსტრუქტორი თ.მშველიძე) მიერ 2017 წელს. საექსპერტოდ დამკვეთის მიერ წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

ა) ქ.თბილისი.ვაკე-საბურთალოს რაიონში, ქუჩა ვასო გოძიაშვილის I შესახვევი № 6-ის (ს/კ 01.10.10.022.028) ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის. მშენებლობის კონსტრუქციული პროექტის ნახაზების ელექტრონული ვერსიები „dwg„ და „pdf„ ფაილები.

ბ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული საანგარიშო მოდელის ელექტრონული ვერსია (საანგარიშო კომპლექსიLira 9.4 ფაილი სახელით: vaso.lir)

გ)მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციათა ტექნიკური გადაწყვეტები. მათ შორის, საძირკვლის კონსტრუქციები: მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის, სვეტების, კედლების, დიაფრაგმების, პილონების, კიბეებისა და სართულშუა გადახურვების კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები, კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმატურებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი არმირებისა და კვანძების გადაწყვეტათა ტექნიკური დოკუმენტაცია.

დ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც დამუშავებული იქნა სტუ-ს გრუნტების მექანიკის და ფუძე საძირკვლების კათედრის პროფესორი ინჟინერ-გეოლოგი გუგა ჭოხონელიძის მიერ.

დამკვეთის დავალების საფუძველზე, წარმოდგენილი მასალების მიხედვით შესამოწმებელია, შპს **"Mega Personal Architecture"** -ს სპეციალისტების(არქიტექტორი ა.კაჭკაჭიშვილი, კონსტრუქტორი თ.მშველიძე) მიერ დამუშავებული დამკვეთის მიერ წარმოდგენილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული პროექტი ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შენობის დაფუძნება: პროექტის მიხედვით შენობის საძირკველი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ფილა,რომელიც დაფუძნებულია ხელოვნურად შექმნილ თიხოვა მსხვილ კენჭოვან გრუნტზე. (იჭრება 3 მეტრი არსებული თიხოვანი გრუმტი და ეწყობა ერთი მეტრი სისქის მსხვილ კენჭოვანი დატკეპნილი ფენა).

. **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების ზოგადი აღწერა:**
შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, მაქსიმალური ღერძული ზომებით 8 სართიულიანი: 17X14 მ., სარდაფის სართულით.შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისითგადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული

მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლეა =3.3 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს =5.1.0 მ;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური

კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომსამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II;

შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ფილაზე.

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომები და დახასიათება:

საძირკველი – რკინაბეტონის ფილა სისქით 100 სმ;
კოლონები – სხვადასხვა კვეთის 50X570 სმ; 40X40 სმ; 4
დიაფრაგმები – რკინაბეტონის სისქით 20 სმ;
რიგელები – რკინაბეტონის კვეთით 50X40 სმ ფილასთან ერთად;
გადახურვის ფილები – რკინაბეტონის სისქით 18 სმ;
გამოყენებულია ბეტონი B30; არმატურა A500C და A240.
კონსტრუქციული ნახაზები დამუშავებულია არქიტექტურულ ნახაზებთან და ანგარიშიდან მიღებულ შედეგებთან შესაბამისობაში

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული საანგარიშო მოდელის აღწერა:

მთლიანად, შენობის როგორც ერთიანი სივრცული კარკასულ-კავშირებიანი სისტემის გაანგარიშება სასრულ ელემენტთა მეთოდით მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებასა და ქარის პულსაციურ დატვირთვებზე ჩატარებულია ლიცენზირებული პროგრამული კომპლექსის „Lira 9.6“-ის საფუძველზე.

საანგარიშო მოდელში სტატიკური და დინამიკური დატვირთვები წარმოდგენილია შემდეგი დატვირთვების სახით:

1. სტატიკური მუდმივი. *(საკუთარი წონა+იატაკის +კედლების წონა+ტიხრების წონა)*
2. სტატიკური დროებითი ხანგრძლივი.
3. სტატიკური დროებითი ხანმოკლე. *(სასარგებლო დატვირთვები)*

4. ქარის სტატიკური დატვირთვა „X„ მიმართულებით.
5. ქარის სტატიკური დატვირთვა „Y„ მიმართულებით.
6. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) „X„ მიმართულებით.
7. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) „Y„ მიმართულებით.
8. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) 45^0 –იანი კუთხის მიმართულებით.
9. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) 135^0 –იანი კუთხის მიმართულებით.
10. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) 15^0 –იანი კუთხის მიმართულებით.
11. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) 165^0 –იანი კუთხის მიმართულებით.
12. ქარის პულსაციური ზემოქმედება „X„ მიმართულებით.
13. ქარის პულსაციური ზემოქმედება „Y„ მიმართულებით.

შენობის მზიდი ელემენტების ანგარიში შერულებულია ძალვათა ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე. დინამიური დატვირთვები შეხამების ცხრილში განხილულია როგორც ურთიერთგამომრიცხავი. დინამიური ზემოქმედებისას საანგარიშო მოდელში გათვალისწინებულია რხევის 15 ფორმა.

საექსპერტოდ წარმოდგენილი საანგარიშო მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზიდან შენობის რხევის პერიოდი მიღებულია 1.8231 წმ. სეისმური მასების მონაწილეობის ფაქტორი 90.8% შეადგენს.

საძირკვლის მაქსიმალური ვერტიკალური დეფორმაცია საანგარიშო დატვირთვათა ძირითადი შეხამებისას შეადგენს 3.8 მმ-ს; მინიმალური-1.156 მმ-ს, ხოლო საშუალო -2.478 მმ-ს;

ქარის დატვირთვებისაგან შენობის ჰორიზონტალური დეფორმაციები ნორმის ფარგლებშია.

შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები მაქსიმალური გადაადგილება X ღერძის მიმართულებით 7.4 სმ;მაქსიმალური გადაადგილება Y ღერძის მიმართულებით 7.3 სმ.

მისასალმებელია, რომ პროექტში ცალკე თავებად არის გამოყოფილი კონსტრუქციების საყალიბო სქემები სართულების მიხედვით, თითოეული კონსტრუქციული ელემენტის არმირება და კვანძები სართულების მიხედვით. კონსტრუქციებში მიღებულია ბეტონი კლასით B30 და არმატურა A240C და A500C კლასით. ძალვები მზიდ კონსტრუ-ქციულ ელემენტებში სეისმურ ზემოქმედების (8 ბალი) გათვალისწინებით განსაზღვრულია კომპიუტერული პროგრამის “ლირა- 9.6"-ის გამოყენებით.

დაპროექტებული შენობის კონსტრუქციულ ნაწილში გამოსაყოფია და დადებითი შეფასების ღირსია არმატურის და ბეტონის ჯამური სპეციფიკაცია, ამონაკრები საპროექტო დაკუმენტაციიდან,სადაც მოცემულია შენობის თითოეული ელემენტის ასაგებად არმატურის ხარჯი 1 კუბ.მეტრ ბეტონზე, რაც შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს.

ასეთი ცხრილი ხელს შეუწყობს დამკვეთსა და მშენებელ ფირმას შორის ურთიერთობაში მშენებლობის სრულფასოვან დაგეგმვას ფულადი სახსრების მოზიდვის, მასალების შესყიდვის ეტაპობრიობის განსაზღვრით.

საექსპერტოდ წარმოდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საანგარიშო მოდელისა განხილვის პროცესშიწარმოქმნილი შენიშვნები:

დამკვეთის მიერ ექსპერტიზისათვის მოწოდებული **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული მუშა ნახაზები** ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა არსებობს შემდეგი შენიშვნები:

1. შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზისას მიზანშეწონილია სვეტებისა და რიგელებისათვის გამოყენებული იქნას ე.წ „ხისტი კავშირები“. სვეტებში ასეთი „ხისტი კავშირების„ გამოყენებისას მღუნავი მომენტები რიგელის „მუშა სიმაღლის„ ფარგლებში ნულის ტოლია და უფრო ზუსტად ასახავს კვანძის მუშაობას. გადახურვის ფილებში კი გასათვალისწინებელია სვეტებისა და დიაფრაგმების განივი კვეთის ფარგლებში „პირობითად არსებული აბსოლუტურად ხისტი ტანის„ არსებობა.
2. მიზანშეწონილია, რომ გაიზარდოს შენობის საკუთარი რხევის ფორმების რაოდენობა.

დასკვნა:

შპს **"Mega Personal Architecture"** -ს სპეციალისტების(არქიტექტორი ა.კაჭკაჭიშვილი, კონსტრუქტორი თ.მშველიძე) მიერ დამუშავებული კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული მუშა ნახაზები შესრულებულია მაღალ ტექნიკურ დონეზე და პასუხობს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. კონსტრუქციული ელემენტების არმირებები შეესაბამება კომპიუტერული საანგარიშო მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის საფუძველზე მიღებულ არმირებებს, შენიშვნები ატარებს სურვილის ხასიათს და შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შენობის საძირკვლები. ფუძეები და მისი შემადგენელი კონსტრუქციული ელემენტები აკმაყოფილებს მდგრადობის, სიმტკიცის და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვენებს და პროექტს რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

ექსპერტი *დ.ჯანყარაშვილი*

CV



პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი:	**ჯანყარაშვილი დავითი**
დაბადების თარიღი:	1946 წლის 3 თებერვალი
დაბადების ადგილი:	ქ. თბილისი
მისამართი :	ქ. თბილისი, ნუცუბიძის 2 მ/რ, 4 კვ.კ.11, ბ.58.
ტელეფონი:	231-63-65, 599-33-20-64
ელ.ფოსტა:	doqtori.55@gmail.com

პროფესიული მოღვაწეობა

სამეც. / აკად. ხარისხი:	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების მისამართი:	კოსტავას ქ. № 68, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი, IV სართული, ოთახი ბ-430
თანამდებობა :	ასოცირებული-პროფესორი

განათლება

ჩარიცხვის და დამთავრების წლები	1964-1969წწ. ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი. წარჩინებით. 1973-1976 წწ. ასპირანტურა, ქ.თბილისის კ. ზავრიევის სახელობის "სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ზღვრული წინასწორობის განყოფილების ასპირანტი." ამავე წლებში დისერტაციაზე ვმუშაობდი ქ. ვილნიუსის სამშენებლო ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკის კათედრაზე. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, „სამშენებლო მექანიკა“, ვილნიუსის სამშენებლო საინინრო ინსტიტუტი 1979 წ. 14 მაისი დისერტაცია „ჰიპარის ფორმის წინასწარდაძაბული ვანტური სისტემის ზღვრული მდგომარეობა გეომეტრიული არაწრფიობის გათვალისწინებით“. ხელმძღვანელი პროფესორი ა. ჩიჟასი და პროფესორი ნ. ახვლედიანი.

სამუშაო გამოცდილება

2006 წლიდან-დღემდე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
1998 -2006	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო

	მექანიკის და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
1976-1979	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ინჟინერი
1969-1973	საპროექტო ინსტიტუტ "კავგიპროტრანსის" სსმ განყოფილების უფროსი ინჟინერი.

მეცნიერული მიღწევები

მონოგრაფია	
სახელმძღვანელო	5
სტატიები	10
კონფერენციები	2
გამოგონებები	-
გრანტები	-

მეცნიერული მოღვაწეობის დაწვრილებით გაცნობა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: http://gtu.ge/mecniereba2011

ენების ცოდნა

რუსული	თავისუფლად
გერმანული	თავისუფლად
ინგლისური	ლექსიკონის გამოყენებით

პედაგოგიური საქმიანობა

პროფესიული სწავლება	ტექნიკური მექანიკა
ბაკალავრიატი	სამშენებლო მექანიკა
ბაკალავრიატი	სეისმომედეგობა
ბაკალავრიატი	თხელკედლიანი სივრცითი სისტემები
მაგისტრატურა	სამშენებლო მექანიკის სპეცკურსი

ინტერესის სფერო

ფილებისა და გარსების ოპტიმალური დაგეგმარება.

დრეკად-პლასტიკური სისტემების და ანაკრები კონსტრუქციების ზიდვის უნარის საკითხები.

ფილებისა და გარსების გაანგარიშების საკითხები მათი გეომეტრიული და ფიზიკური მახასიათებლების ნახტომისებური ცვლილებების გათვალისწინებით.

სამფენოვანი ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშება მასალის დრეკად-პლასტიკური თვისებების გათვალისწინებით.

შენობების, როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემების გამოკვლევა, მიწისძვრისას აღძრული იმპულსურ ზემოქმედებაში.

მრავალკვანძიანი წინასწარდაძაბული ვანტური სისტემების ზიდვის უნარის გამოკვლევა გეომეტრიული არაწრფიობის გათვალისწინებით.

დამასხურებები, ჯილდოები, სერტიფიკატები

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ჯილდო დ.გ. ჯანყარაშვილს-საქ. ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაქულტეტის პროფბიუროს თავჯდომარეს საქართველოს პროფკავშირების XVII ყრილობის დელეგატს, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.
კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სამინისტროს ჯილდო 1983-86 წწ-ში ქ. პნომპენის უმაღლეს ტექნიკურ ინსტიტუტში პედაგოგიური მოღვაწეობისთვის.

ჰობი

სპორტი, მუსიკა, ლიტერატურა.

АТТЕСТАТ
ДОЦЕНТА

АЦ № 005124

Москва

Решением
Министерства высшего и среднего
специального образования СССР
от 15 марта 1988 г. (протокол № 353/8.)

Джанкарашвили Ларису Георгиевну

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ДОЦЕНТА

по кафедре строительной механики

Председатель коллегии
Министр
высшего и среднего специального
образования СССР

Главный ученый секретарь

ISTERE DE L'EDUCATION

******

REPUBLIQUE POPULAIRE DU KAMPUCHEA

INDEPENDANCE PAIX LIBERTE BONHEUR

****

LETTRE DE REMERCIEMENT

****

Le Ministre de l'Education de la République Populaire du Kampuchea tient à féliciter et remercier

Camarade Djankarachvili D.G.

pour sa précieuse collaboration inspirée du plus pur esprit d'Internationalisme prolétarien, contribuant activement à l'édification nationale de la R.P.K tout en apportant son aide très efficace pour la réalisation de la 1ère promotion des ingénieurs à l'ITSAKS, répondant ainsi aux besoins pressants dans la formation des cadres techniques .

Phnom Penh, le 9 Mars 1986

PEN NAVUTH

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

ТН № 029374

Москва 30 мая 1979 г.

Решением
Совета в Вильнюсском инженерно-строительном институте
от 27 декабря 1978 г. (протокол № 10)

Джанкарашвили Давиду Гедиевичу
ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ

КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель совета

Ученый секретарь совета

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

ТН № 029374

Москва 30 мая 1979 г.

Решением
Совета в Вильнюсском инженерно-строительном институте
от 27 декабря 1978 г. (протокол № 10)

Джанкарашвили Давиду Гедиевичу
ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ

КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель совета

Ученый секретарь совета

დიპლომი

Ш № 451574

ეს დიპლომი მიეცა დავით გიორგის ძე ჯანყარაშვილს

მასზე, რომ იგი 19.. წელს შევიდა [illegible]

და 1969 წელს დაამთავრა [illegible]

სრული კურსი სპეციალობით

ხიდები და გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1969 წ. „28" ივნისის დადგენილებით

დ.გ. ჯანყარაშვილს მიენიჭა

ხიდების და გვირაბების ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1969 წ. 12 სექტემბერი

სარეგისტრაციო № 18010

Грузинский ...

ДИПЛОМ

Ш № 451574

Настоящий диплом выдан Джанкарашвили Давиду Георгиевичу

в том, что он в 19.. году поступил

в Груз. ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1969 году окончил полный курс

названного института

по специальности Мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной комиссии от „28" июня 1969 г.

Джанкарашвили Д. Г.

присвоена квалификация инженера-строителя мостов и тоннелей

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „12" сентября 1969 г.

Регистрационный № 18010

Московская типография Гознака. 1968.

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01008039076

სახელი დავით

გვარი ჯანყარაშვილი

დაბადების თარიღი 03.02.1946

დაბადების ადგილი თბილისი

N° ბ 1319867

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ. მ/რ 4 კორ.11 ბ.58

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახური

გაცემის თარიღი 09.07.2009

მოქმედების ვადა 09.07.2019

რეგისტრაციის თარიღი 19.08.1987

ბ.ა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

[illegible] რეგისტრაციის № 05-1623